

„შპს დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადა“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წელი 31 დეკემბერი

შპს "დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
• განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8
4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8
5. მარაგები	8
6-7. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება	8
8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	9
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9
10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	9
11. კაპიტალი	9
12. ამონაგები	9
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10
15. საგადასახადო ხარჯები	10
16. საპროცენტო ხარჯები	10
17. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	10
18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	10
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	10
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	10

შპს "დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას"

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

<u>მოკლევადიანი აქტივები</u>	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>	<u>31/12/2022</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	238,758	787,404	907,541
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	689,615	493,129	544,606
მარაგები	5	4,391	6,508	6,767
სხვა მოკლევადიანი აქტივები		94,516	41,155	37,250
საგადასახადო აქტივები		-	2	11,253
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,027,280	1,328,197	1,507,417

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	6	11,007,968	10,079,141	7,191,697
არამატერიალური აქტივები	7	4,656	8,685	12,715
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,012,624	10,087,826	7,204,412
სულ აქტივები		12,039,905	11,416,024	8,711,828

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	8	825,571	511,456	2,793,145
საგადასახადო ვალდებულებები		164,553	688,357	94,090
გადასახდელი პროცენტები		1,934	1,853	1,862
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8'	309,564	257,982	193,029
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		848,427	575,084	192,532
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,150,049	2,034,732	3,274,658

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	6,945,762	6,926,861	2,908,590
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,945,762	6,926,861	2,908,590
სულ ვალდებულებები		9,095,811	8,961,594	6,183,248

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	10	1,300	1,300	1,300
დაგროვილი მოგება/ზარალი		2,331,551	2,299,912	1,908,411
პერიოდის მოგება/ზარალი		611,243	153,218	618,870
სულ საკუთარი კაპიტალი		2,944,093	2,454,430	2,528,580
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,039,905	11,416,024	8,711,828

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 სექტემბერს

დირექტორი
ავთანდილ აბდუმელიშვილი



შპს "დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას"
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალის) ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	11	6,162,331	5,148,482
გაყიდვების თვითღირებულება	12	(2,849,483)	(2,212,690)
საერთო მოგება		3,312,848	2,935,791
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯები		(3,600)	(2,300)
შრომის ანაზღაურება		(1,090,289)	(997,706)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(172,686)	(124,548)
ცვეთის ხარჯი		(330,926)	(201,296)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(207,467)	(220,820)
საგადასახადო ხარჯი	14	(136,832)	(575,279)
ბანკის საკომისიო ხარჯი		(7,715)	(11,819)
საკონსულტაციო ხარჯები		(27,668)	(34,428)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,977,183)	(2,168,196)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,335,666	767,595
საპროცენტო შემოსავალი		9,284	17,236
საპროცენტო ხარჯი	15	(727,208)	(362,916)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	16	57,280	(190,439)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(42,324)	(38,135)
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		632,698	193,342
მოგების გადასახადი		(21,455)	(40,124)
წმინდა მოგება/(ზარალი)		611,243	153,218

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 სექტემბერს

დირექტორი
ავთანდილ აბდუშელიშვილი



შპს "დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას"
 სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,300	2,527,280	2,528,580
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	153,218	153,218
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	(227,368)	(227,368)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,300	2,453,130	2,454,430
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	611,243	611,243
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	(121,579)	(121,579)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,300	2,942,793	2,944,093

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 სექტემბერს

დირექტორი
 ავთანდილ აბდუშელიშვილი



შპს “დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას”
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა დაფუძნდა 1996 წლის 16 ოქტომბერს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის სადასახლო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით : 206051396. კომპანიას ჰყავს ორი დამფუძნებელი : 50% წილით გოჩა აბდუშელიშვილი და 50%-წილით ავთანდილ აბდუშელიშვილი. კომპანიის საქმიანობის სახეობა: ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება, საცალო ვაჭრობა გაზეთებით, ჟურნალებით და საკანცელარიო ნივთებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა პური, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია 170- მდე თანამშრომელი.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ. თბილისი, ისნის რაიონი, სერგი წულაძის ქუჩა N32დ.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამუშავებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაძარის ინფორმაციას.

შპს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი	ევრო
2.8068	2.9306

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენი ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

• შენობა-ნაგებობები;	20-50 წელი;
• მანქანა-დანადგარები;	6-10 წელი;
• ოფისის აღჭურვილობა;	5-9 წელი;
• ავეჯი და სხვა ინვენტარი;	5-9 წელი;
• სატრანსპორტო საშუალებები;	5 წელი;
• სხვა ძირითადი საშუალებები;	5-16 წელი;
• არამატერიალური აქტივი;	4-13 წელი;

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივების აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლის ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელმწიფოებრივ შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივ უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელმწიფოებრივ საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საღაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	238,196	783,440
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	562	3,964
სულ	238,758	787,404

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	269,990	223,041
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	188,750	26,182
მომწოდებელზე გაცემული ავანსები	230,875	243,906
სულ	689,615	493,129

5. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
მზა პროდუქცია	161	4,342
ნედლეული	4,231	2,166
სულ	4,391	6,508

6-7. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

დასახელება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანად გარები	ოფისის აღჭურვ ილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანს პორტო საშუალ ეგები	სხვა ძირით ადი საშუა ლება	არამატერიალუ რი აქტივი	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება 01.01.2024	2,502,642	7,759,480	27,520	464,727	636,527	55,000	16,657	33,466	130,147	11,626,166
შემოსვლა	-	-	-	38,248	296,385	178,000	-	-	744,715	1,257,348
გასვლა	-	-	-	31,972	50,779	-	-	-	832	83,583
ნაშთი 31.12.2024	2,502,642	7,759,480	27,520	471,002	882,133	233,000	16,657	33,466	874,030	12,799,930

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	მიწა	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა - დანად გარეში	ოფისის აღჭურვ ილობა	ავჯი და სხვა ინვენტარ ი	სატრანს პორტო საშუალო ცხები	სხვა პირითადი საშუალება	არამატერიალუ რი აქტივი	მშენებლობა	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	-	882,672	23,170	263,586	291,697	40,957	11,476	24,781	-	1,538,339
წლიური ცვეთა	-	156,936	-	65,150	83,649	18,869	2,293	4,030	-	330,926
გასული ცვეთა -	-	-	-	31,702	50,257	-	-	-	-	81,959
დაგრ. ცვეთა 31.12.2024	-	1,039,608	23,170	297,033	325,089	59,827	13,769	28,810	-	1,787,306
საბალანსო ღირებულება	2,502,642	6,719,873	4,350	173,969	557,044	173,173	2,888	4,656	874,030	11,012,624

8. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი	6,945,762	6,926,861
სულ	6,945,762	6,926,861

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	159,933	48,453
გადასახდელი ხელფასები	283,865	237,514
ვალდებულებები საპენსიო სააგენტოს მიმართ	25,699	20,468
მყიდველისგან მიღებული ავანსები	665,638	463,003
სულ	1,135,135	769,438

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი	6,945,762	6,926,861
სულ	6,945,762	6,926,861

11. კაპიტალი

კომპანიას აქვს საწესდებო კაპიტალი 1300 ლარი, ასევე აქვს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება. 2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 6 162 330.67 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე გაცემულია დივიდენდები 121 578.96 ლარი.

12. ამონაგები

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მომსახურების გაწევიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი იყო 6 135 651 ლარი, ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი - 23 680 ლარი. 2023 წლის განმავლობაში მომსახურების გაწევიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინდა 5 119 268 ლარი. ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან - 30 190 ლარი.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება იყო 17 407 ლარი, ხოლო მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი - 2 832 076 ლარი. 2023 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის მთლიანი თვითღირებულება არის 19 292 ლარი, ხოლო მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი - 2 193 398 ლარი.

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
საკანცელარიო ხარჯი	18,864	25,632
კომპიუტერის ხარჯი	3,317	10,518
დაცვის ხარჯი	24,513	23,280
სხვა ხარჯი	160,773	161,390
სულ	207,467	220,820

15. საგადასახადო ხარჯები

	2024	2023
მიწის გადასახადის ხარჯი	1,846	1,846
დღგ-ს ხარჯი	-	482,035
ყოველთვიური მოგების გადასახადის ხარჯი	10,656	12,052
ქონების გადასახადის ხარჯი	80,414	73,820
სხვა საგადასახადო ხარჯი	43,915	5,526
სულ	136,832	575,279

16. საპროცენტო ხარჯები

	2024	2023
გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი	727,016	360,916
ვალდებულების შესრულების გარანტიაზე დარიცხული პროცენტი	192	2,000
სულ	727,208	362,916

17. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	2024	2023
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	572,566	422,524
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(515,286)	(612,963)
სულ	57,280	(190,439)

18. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირის ანაზღაურება 2024 წელს შეადგენს 72 457 ლარს. კომპანიას დაკავშირებული

მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 19 სექტემბერს.